თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 11

ქ.თერჯოლა 3 დეკემბერი 2024 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1.ბადრი ბუცხრიკიძე, 2. ბიძინა ბუცხრიკიძე, 3. კობა კაცაძე, 4. ჯემალი ისაკაძე, 5. გოჩა ვერულაშვილი, 6. შალვა ჭანკვეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ფრიდონ გვენეტაძე, 2. მერაბი ბასილაძე, 3. ივანე ჩუბინიძე, 4. როლანდი მესხი, 5. თემურ ქოჩიაშვილი

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 6
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2025 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 ივნისის № გ-29.2924166001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282433749, 02.12.2024 წ.).

   მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ. 33.09.42.992 სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-28243377, 02.12.2024 წ.).

   მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2025 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 ივნისის № გ-29.2924166001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - მუნიპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 სექტემბერს N46 14 განკარგულებით დამტკიცებული აქვს 2020-2024 წლების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების სამოქმედო გეგმა, საიდანაც ნაწილი პროექტებისა უკვე განხორციელებულია, ნაწილი კი მიმდინარეობს. სამოქმედო გეგმას ემატება 7 პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრებს

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -7 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2025 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 ივნისის № გ-29.2924166001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ. 33.09.42.992 სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი - აღნიშნული უძრავი ქონება გადაეცემა სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართამადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -7 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ. 33.09.42.992 სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე
ბადრი ბუცხრიკიძე